სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება**<br>(ქართულად და ინგლისურად) | **ეროვნული უსაფრთხოება: დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები**<br>National Security, Demographic Policy and migrations |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია**<br>(ქართულად და ინგლისურად) | **სოციალური მეცნიერებების მაგისტრი**<br>Master of Social Sciences |
| **პროგრამის მოცულობა კრედი-ტებით და მათი განაწილება** | მაგისტრატურის პროგრამა მოიცავს **120 კრედიტს (ECTS),**<br>მათ შორის:<br><br>• **სავალდებულო სასწავლო კურსები** - 75 ECTS;<br>• **სამაგისტრო ნაშრომი** - 30 ECTS;<br>• **არჩევითი სასწავლო კურსები** - 15 ECTS;<br><br>**სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგიტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას. |
| **სწავლების ენა** | ქართული |
| **პროგრამის ხელმძღვანელი /კოორდინატორი** | **ვაჟა ლორთქიფანიძე,** პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაშვებია სხვადასხვა სფეროს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირთა მიღება, რომელთაც მოეთხოვებათ:<br>• საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;<br>• წერითი გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში;<br>• მიმღებ კომისიასთან გასაუბრება სპეციალობასა და უცხოურ ენაში (ინგლისური ენა - B1.2 დონე).<br><br>• მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;<br>• მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. |

| | |
|---|---|
| | **მისაღები გამოცდების ფორმატი და საბოლოო ქულების გამოყვანის სტრუქტურა:**<br><br>• **საერთო სამაგისტრო გამოცდა** - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა **(მინიმალური ზღვარი);**<br>• **წერითი გამოცდა სპეციალობაში (40 - % )** - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან);<br>• **გასაუბრება სპეციალობაში (20 %)** - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან);<br>• **გასაუბრება უცხოურ ენაში (ინგლისური ენა B1.2) (40 %)** - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან). |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია** ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი კომპონენტების – დემოგრაფიის, დემოგრაფიული პოლიტიკისა და მიგრაციების შესახებ მრავალმხრივი თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შეეძლებათ:<br>1. ეროვნული უსაფრთხოების შემადგენელი კომპონენტის – დემოგრაფიული მეცნიერების ძირითადი თეორიების, დებულებების, კანონების, ეროვნული უსაფრთხოების ზოგადი კონცეფციების და თეორიების სისტემური ანალიზი და მათზე დაყრდნობით სოციოლოგიური კვლევების ჩატარება, მიღებული შედეგების საფუძველზე შერჩეული კვლევითი პრობლემატიკის შესწავლა და ნაშრომის მომზადება;<br>2. მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების თავისებურებების განსაზღვრა დინამიკაში, როგორც მსოფლიოში, ასევე რეგიონულ და ცალკეული ქვეყნების ჭრილში;<br>3. მიგრაციული პროცესების (როგორც მსოფლიოს მასშტაბით, ასევე საქართველოს და კავკასიის მასშტაბით) სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული და ეროვ-ნული უსაფრთხობის ასპექტების გამოვლენა და ანალიზი;<br>4. დემოგრაფიული პოლიტიკისა და მიგრაციული პოლიტიკის ქვეყნის ცხოვრებაში გასატარებლად, სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროებთან ურთიერთკავშირის განსაზღვრა;<br>5. მიღებული ცოდნით აკადემიურ სფეროში საკუთარი წვლილის შეტანა და ცოდნის გაცვლა-გავრცელება |

| | |
|---|---|
| | სამეცნიერო წრეებსა და საზოგადოების სხვა დაინტერესებულ ნაწილში. |
| **სწავლის შედეგები** | **პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** |
| ა) ცოდნა და გაცნობიერება<br><br>ბ) უნარი<br><br>გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა | 1. სისტემურად და სიღრმისეულად განმარტავს დემოგრაფიულ თეორიებს, დემოგრაფიის ფუნდამენტურ კონცეფციებს; მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციულ პროცესებს, მათ გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებს;<br>2. განსაზღვრავს დემოგრაფიის პოლიტიკის ამოცანებს, პარადიგმებსა და სხვა პრობლემებს, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე;<br>3. დემოგრაფიული პარამეტრების მიხედვით, ქმნის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების მოდელებს და ახდენს მათი იმპლიმენტაციისათვის საჭირო კომპლექსური მონაცემების ანალიზს;<br>4. იყენებს დემოგრაფიულ თეორიებს, ეროვნული უსაფრთხოების ზოგად კონცეფციებს და მათი თეორიების სხვადასხვა ასპექტს თანამედროვე დემოგრაფიულ პრობლემებთან მიმართებაში;<br>5. დამოუკიდებლად და კრიტიკულად ამუშავებს დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, აანალიზებს მონაცემებს კვლევის უახლესი მეთოდების (მათემატიკური, სტატისტიკური, სოციოლოგიური) გამოყენებით; ადგენს დემოგრაფიული პროცესების ინტენსივობას, მსჯელობს საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოსების დემოგრაფიული განვითარების ისტორიული, გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური შედარებითი ანალიზის შედეგებზე;<br>6. პროფესიული ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, სხვადასხვა ქვეყნების მიერ გატარებული დემოგრაფიული პოლიტიკის, საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად წერს სამაგისტრო ნაშრომს, წარადგენს საკუთარ მოსაზრებებს ზეპირად და/ან წერილობით ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო ოპტიმალური დემოგრაფიული პოლიტიკის შესამუშავებლად;<br>7. შეაქვს საკუთარი წვლილი უნივერსიტეტში მიღებული კომპეტენციების საფუძველზე როგორც პროფესიული, ასევე სამოქალაქო აქტივობით, დარგის განვითარებაში;<br>8. ავლენს მაღალმოქალაქეობრივ პოზიციას როგორც |

| | |
|---|---|
| | დამოუკიდებელი, ისე გუნდური კვლევის პროცესში; აკადემიური ეთიკის ფარგლებში მონაწილეობას იღებს დარგობრივ პოლემიკაში, იცავს საკუთარ და გუნდის პოზიციას, პატივს სცემს სხვის მოსაზრებას. |
| სწავლება-სწავლის მეთოდები | **აღწერა და შეფასება**<br>პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩართული თითოეული კურ-სი თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, იყენებს სწავლების მრავალფეროვან მეთოდებს, რაც გამოიხატება ცოდნისა და უნარების მაღალი ხარისხის მისაღწევად სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის ეფექტურ განსაზღვრაში.<br>მაგისტრატურის პროგრამის სხვადასხვა კურსში გამოყენებულ სწავლების მეთოდებს მიეკუთვნება:<br>➢ ვერბალური/წერითი<br>➢ წიგნზე/ელექტრონულ მასალებსა და წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობა<br>➢ ახსნა - ინტერაქციული ლექციები<br>➢ დამოუკიდებელი კვლევა - სემესტრული (სასწავლო კურსების მიხედვით) და სამაგისტრო ნაშრომის მომზადება<br>➢ დისკუსია/დებატები<br>➢ პრაქტიკა<br>➢ პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება<br>➢ ელექტრონული სწავლება (E-learning).<br>სასწავლო კურსის თემატიკისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესორი ირჩევს სასწავლო კურსის შესაბამის სწავლა-სწავლების მეთოდ(ებ)ს.<br>პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული ზემოთ აღნიშნული მეთოდების ერთობლიობა, შეფასების სისტემასთან ერთად, უზრუნველყობს მაგისტრატურის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. |
| შეფასების სისტემა | სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება ითვალისწინებს:<br>ა) დამოუკიდებელი მუშაობის შეფასებას;<br>ბ) შუალედურ (რეიტინგულ) შეფასებას;<br>გ) დასკვნით შეფასებას. |

| | |
|---|---|
| | შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან **(100 ქულა)** განესაზღვრება ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში.<br><br>დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით.<br><br>**შეფასების სისტემა უშვებს:**<br><br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>• **ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;<br>• **ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>• **კარგი** – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>• **დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>• **საკმარისი** – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br>• **(FX) ვერ ჩააბარა**–მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>• **(F) ჩაიჭრა**–მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს,რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.<br><br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში.**<br><br>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.<br><br>დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.<br><br>დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. |
| | შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების |

| | |
|---|---|
| | მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპო-ნენტისთვის.<br><br>დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50 % (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით).<br><br>სამაგისტრო ნაშრომის შეფასება<br><br>**სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.**<br><br>**სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.**<br><br>სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა).<br><br>მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.“<br><br>კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.<br><br>სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:<br><br>ა) აქტუალობა - 5 ქულა<br><br>(ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე).<br><br>ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა<br><br>(ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის |

| | |
|---|---|
| | მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა).<br><br>**გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა**<br><br>(ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი).<br><br>**დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა**<br><br>(ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა).<br><br>**ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა**<br><br>(ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა).<br><br>**ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა**<br><br>(ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები, გრაფიკები და სხვ.; მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე). |
| დასაქმების სფეროები | „ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციების" მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებს შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ სამეცნიერო ან სხვადასხვა ორგანიზაცია/დაწესებულებებში, რომელთაც ჭირდებათ ეროვნული უსაფრთხოების ზოგადი კონცეფციების და თეორიების, დემოგრაფიის პოლიტიკის, განსაკუთრებით კი რეგიონული დემოგრაფიისა და მიგრაციის |

| | |
|---|---|
| | სპეციალისტები, რათა პროფესიულად შეისწავლონ, გააანალიზონ და დაგეგმონ მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარებისა და უსაფრთხოების, ასევე სულ უფრო მზარდი მიგრაციული პროცესები. მაგ.:<br>➢ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო<br>➢ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო<br>➢ სტატისტიკის ეროვნული სამსახურები<br>➢ ეროვნული უსაფრთხოების განმახორციელებელი პოლიტიკური ინსტიტუტები<br>➢ არასამთავრობო ორგანიზაციები<br>➢ ანალიტიკური ცენტრები და სხვა. |
| **სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის** | უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს.<br><br>სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით. |
| **პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი** | პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, საზოგადოებრივი გეოგრაფიის და ფაკულტეტის სხვადასხვა მიმართულების, აკადემიური და ასევე მოწვეული პერსონალი.<br><br>**პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:**<br><br>• თსუ-ს კომპიუტერული ბაზები;<br>• თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები;<br>• სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი);<br>• ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა №11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი №1-ში, I კორპუსი);<br>• თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები;<br>• თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: |

| | |
|---|---|
| | EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა;<br>• სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (VI კორპუსი, ტურმიზმის სკოლა და ფიზიკის ინსტიტუტი);<br>• ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა. |
| **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა** | პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ). |
| **აკადემიური კეთილსინდისიერება** | აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.<br>• სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მხოლოდ მის მიერ დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები;<br>• სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა მოახდინოს მონაცემთა ან სხვა ინფორმაციის გაყალბება, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი.<br><br>იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთ ხსენებულ ქმედებას ექნება ადგილი, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც ჭეშმარიტი აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა.<br><br>სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin"-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორ-ტალზე.<br><br>ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, რომელიც ამოწმებს სამაგისტრო ნაშრომს „პლაგიატზე", ხელმძღვანელობს "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტით". სამსახური, |

| | |
|---|---|
| | დაცვამდე 9 კალენდარული დღით ადრე, ნაშრომების ელექტრონულ ვერსიას უგზავნის რეცენზენტს და კომისიას. ნაშრომში შესაბამისი ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში სასწავლო პროცესის მართვის სამსახური წერილობით აცნობებს სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიას რეაგირების მიზნით.<br><br>ნაშრომში აკადემიური არაკეთილსინდისიერების გამოვლენის შემთხვევაში კომისიის წევრები უფლებამოსილნი არიან მიიღონ შემდეგი გადაწყვეტილება:<br><br>ა) მაგისტრანტი დაშვებულ იქნეს დაცვაზე და ხარვეზები აისახოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში;<br>ბ) მაგისტრანტი არ იქნეს დაშვებული დაცვაზე;<br>გ) მაგისტრანტის საკითხი განიხილოს ეთიკის კომისიამ.<br><br>სამაგისტრო ნაშრომის წარდგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში მაგისტრანტის ხელმძღვანელმა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უნდა გაუგზავნოს წერილობითი თანხმობა მაგისტრანტის დაცვაზე დაშვების თაობაზე.<br><br>*იხ. აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი* |
| **დამატებითი ინფორმაცია**<br>(საჭიროების შემთხვევაში) | მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას ყოველწლიურად შეუძლია მიიღოს **20 სტუდენტი.**<br><br>სწავლების პროცესში მიღებული ცოდნისა და უნარების ერთობლიობა, სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, ამზადებს სტუდენტს მიღებული განათლების გამოყენებისთვის რეალურ დამოუკიდებელ საქმიანობაში.<br><br>პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა განთავსებულია და ხელმისაწვდომია თსუ-ს ბიბლიოთეკებში.<br><br>**პროგრამის ანალოგი:**<br>მაგისტრატურის პროგრამის – **ეროვნული უსაფრთხოება, დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები** – ანალოგი ფართოდ არის დანერგილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერ-სიტეტებში. დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის, როგორც პროფესიის დაუფლება უმეტეს შემთხვევაში ხორციელ-დება სწორედ მაგისტრატურის პროგრამების მეშვეობით. მაგ. მსგავსი პროგრამები ხორციელდება შემდეგ უნივერსიტეტებში:<br>1. კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი, მაგისტრატურის პროგრამა დემოგრაფიაში (ამერიკის |

| | |
|---|---|
| | შეერთებული შტატები) - https://www.demog.berkeley.edu/<br>2. ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურის პროგრამა დემოგრაფიაში (ამერიკის შეერთებული შტატბი) - https://coss.fsu.edu/popcenter/<br>3. პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ამერიკის შეერთებული შტატბი) - https://pop.psu.edu/training<br>4. სტოკჰოლმის უნივერსიტეტი (შვედეთი) - https://www.su.se/english/research/research-groups/stockholm-university-demography-unit-suda<br>5. ავსტრალიიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი - https://demography.cass.anu.edu.au/<br>6. უმეას უნივერსიტეტი, სოციალური სტატისტიკა და დემოგრაფია (შვედეთი) - https://www.umu.se/en/centre-for-demographic-and-ageing-research/<br>https://www.umu.se/en/research/areas/demography/<br>7. მონრეალის უნივერსიტეტი, დემოგრაფიის დეპარტამენტი (კანადა) - https://demo.umontreal.ca/accueil/<br>8. გრონინგემის უნივერსიტეტი (ჰოლანდია) - https://www.rug.nl/masters/population-studies/?lang=en<br>9. საუზჰემპტონის უნივერსიტეტი, სოციალური სტატისტიკა და დემოგრაფია (დიდი ბრიტანეთი) - https://www.southampton.ac.uk/courses/demography-masters-msc |

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სასწავლო გეგმა

**ფაკულტეტი:** სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

**მიმართულება:** საზოგადოებრივი გეოგრაფიის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ეროვნული უსაფრთხოება: დემოგრაფიული პოლიტიკა და მიგრაციები

**სწავლების საფეხური:** მაგისტრატურა

**კრედიტების რაოდენობა:** 120 ECTS

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი/კოორდინატორი:** ვაჟა ლორთქიფანიძე, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი

**აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:** 29/04/2024, №: 61 (დანართი 322)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი და აკრედიტაციის ვადა): № 1018949; 27/08/2024 - 31/12/2028

**სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი** (სასწავლო წელი): 2024-2025 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი

**პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები** (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების[1] ნომერი და თარიღი): № 99/2024 - 31/07/2024

[1] https://www.tsu.ge/ka/legalakad

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## პროგრამის სტრუქტურა

| სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | სასწავლო კურსის სახელწოდება | კრედიტების რაოდენობა (ECTS) | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | ლექტორი/ლექტორები |
| | | | | საკონტაქტო | | | დამოუკიდებელი | სულ | | I | II | III | IV | |
| | | | | ლექცია | სემინარი/სამუშაო ჯგუფი | საგამოცდო | | | | | | | | |
| სავალდებულო სასწავლო კურსები - 75 კრედიტი (ECTS) | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | | დემოგრაფია 1 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | ასოც.პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 2 | | საქართველოს მოსახლეობა | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |
| 3 | | მსოფლიოს მოსახლეობის დემოგრაფიული | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განვითარების ტენდენციები და მიგრაციები | | | | | | | | | | | |
| 4 | | ეროვნული უსაფრთხოება და ასიმეტრიული საფრთხეები | 5 | 15 | 30 | 6 | 74 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია |
| 5 | | მიგრაციული პროცესების გეოგრაფია | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | ასოც. პროფესორი ია იაშვილი |
| 6 | | დემოგრაფია 2 | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | დემოგრაფია 1 | | ✓ | | ასოც.პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 7 | | დემოგრაფიული სტატისტიკა | 5 | 15 | 30 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | ასოც.პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 8 | | რეგიონალიზმის პოლიტიკა და გეოპოლიტიკური უსაფრთხოება | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | მოწვეული ლექტორი რუსუდან თევზაძე |
| 9 | | დემოგრაფიული ანალიზი და კომპიუტერული მოდელირება | 5 | 15 | 30 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | ასოც.პროფესორი ანზორ სახვაძე |
| 10 | | დემოგრაფიული პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | საქართველოს მოსახლეობა | | | ✓ | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |
| 11 | | სოციალური კვლევის მეთოდები | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | ასოც.პროფესორი თეონა მატარაძე |
| 12 | | გეოეკონომიკური უსაფრთხოება | 5 | 15 | 30 | 6 | 74 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | მოწვეული ლექტორი ვახტანგ მაისაია |
| 13 | | გლობალური დემოგრაფიული პროცესები, მიგრაცია და ეროვნული უსაფრთხოება | 5 | 30 | 15 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | ასოც.პროფესორი გიორგი მელაძე |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | | სამაგისტრო ნაშრომის დიზაინი | 5 | 15 | 30 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | ასოც.პროფესორი ხათუნა მაისაშვილი მოწვეული ლექტორი მარეხ დევიძე |
| 15 | | **პრაქტიკა** | 5 | - | 84 | 6 | 35 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | | ✓ | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე<br><br>ასოც. პროფესორი ანზორ სახვაძე |
| **პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი (30 კრედიტი)** | | | | | | | | | | | | | | |
| 16 | | **სამაგისტრო ნაშრომი** | 30 | 60 | | | 690 | 750 | მინიმუმ 80 კრედიტი (ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი) | | | | ✓ | მაგისტრატურის პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი |
| **არჩევითი სასწავლო კურსები - 15 კრედიტი (ECTS)** | | | | | | | | | | | | | | |
| 17 | | მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია<br>*(სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრატურის პროგრამიდან)* | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | პროფესორი თამარ დოლბაია |
| 18 | | დარგობრივი ინგლისური ენა 1<br>*(სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრატურის პროგრამიდან)* | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | ენების ცენტრის პედაგოგი თამარ იაშვილი |
| 19 | | მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარების კონცეფციები | 5 | 15 | 30 | 4 | 76 | 125 | წინაპირობის გარეშე | ✓ | | | | ასოც. პროფესორი ანზორ სახვაძე |

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20 | | კავკასიის მოსახლეობა | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე |
| 21 | | მსოფლიოს მოსახლეობის გეოგრაფია | 5 | 15 | 15 | 6 | 89 | 125 | წინაპირობის გარეშე | | ✓ | | | ასოც. პროფესორი გიორგი კვინიკაძე |
| 22 | | დარგობრივი ინგლისური ენა 2 *(სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრატურის პროგრამიდან)* | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | დარგობრივი ინგლისური ენა 1 | | ✓ | | | ენების ცენტრის პედაგოგი თამარ იაშვილი |
| 23 | | გეოპოლიტიკა და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გეოგრაფია *(სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის მაგისტრატურის პროგრამიდან)* | 5 | 15 | 30 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | პროფესორი გიორგი გოგსაძე |
| 24 | | მდგრადი განვითარება და სოციალური პოლიტიკა | 5 | 30 | 15 | 5 | 75 | 125 | წინაპირობის გარეშე | | | ✓ | | ასოც. პროფესორი ჯაბა უროტაძე |

***გათვალისწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა.***

პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების/კოორდინატორის ხელმოწერა ______________________________

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ________________________________

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _______________________________

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _________________________________________________

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ______________________________

თარიღი _____________________________________ ფაკულტეტის ბეჭედი